

138

918

ნაკადული



Rei TCA.

მაისი, 1918 წ.

№ 5.

სამეცნიერო ჟურნალი

მთიანეთის პროვინციის.

გაზეთი

საქართველოს
გაზეთთა კავშირი

899.962.1705

6-22

წელიწადი 80-XIV.

№ 5.

მაისი 1918 წ.



F-5 819

1240.

ცხენოსანი.

მუდმივი № _____
 სახლის № _____
 ქუჩის № _____
 ტელ. № _____
 9101

შინაარსი:

I—ცხენოსანი,—სურათი	1
II—სიმღერა,—ლექსი გ. ქუჩიშვილისა	3
III—ომი გერმანელებთან,—ი. შკედლიშვილისა	4
IV—დაუდევარნი,—პიესა ორ მოქმედებად, გრიგოლ კლდიაშვილისა	12
V—კულ-კულა არაკები,—რიგ-რიგობით ბატონებო ყველა ერთად არ იქნება,—თარგმანი ილ. გოგიასი	18
VI—კიბო-განდევილი,—გადმოკეთებული იტასი	20
VII—გასართობი: ანბანზე ამოსაცნობი, რებუსი და აღსნა	24



სიმღერა

გაზაფხულო, გაზაფხულო,
რა კარგი ხარ, რა კარგი:
უვაზილებით მორთული,
მზის სსივებით ნაქარგი.

შენი წვიმა ჟუჟუნა
ისე წმინდა რამ არის,
ვით ცრემლები ნარნარი
დედოფალი თამარის.

ჭიანჭველა რა არის,
იმხსნაც კი ახარებ;
კაცს ხომ ისე აძაღლებ,
რომ მტერსაც კი აუვარებ.

მოსვალ, თან მოგუებინა
მოჭიკჭიკე ფრთოსნები,
ჩანგით გუგებებინა
საქართველოს ძეგლსნები.

გაზაფხულო, გაზაფხულო,
რა კარგი ხარ, რა კარგი;
უვაზილებით მორთული,
მზის სსივებით ნაქარგი.



ოში „გერგანელუბთან“

ოშის წინა დღე.



ოლანთ ვენასის თავის ერთ კუნ-
ჭულში ძალადი ჭინჭრები იდგა, რო-
მელნიც კვიპროსების ტყესა ჰკვან-
და; ჭინჭრებს შხამიანი მტვრით და-
ტვრითული თავები დახრილი ჰქონ-
დათ და გარინდებულები იდგნენ სოლ-
მე მშვიდობიანობაში. მსე დახრილი
იყო დასავლეთისაკენ და ჭინჭრები
გაჯარჯარებულ სუნს გამოცემდნენ თი-
ბათვის სიცხისაგან. იქვე ჰატარა დი-

მიტრა და კოლანთ ვანია ჩილიკობასა თამაშობდნენ. ჩილი-
კობა რო მოსწუინდათ, დიმიტრამ იქით გადააგდო ჩილიკა
ჯოსი და სთქვა:—

—ასლა სსვა რამე ვითამაშოთო.

თითქო ვანიაც ამასა ფიქრობდა გულშიო, კასარებულმა
წამოიძახა:—

— ვითამაშოთ, მოდი თობა ვითამაშოთო.

ორივეს ძალიან მოეწონათ ეს აწრი.

— მავრამ ვის ვეომოთ?— სთქვა დიმიტრამ.

— აი ამ ჭინჭრებს!— სთქვა ვანიამ და თანაც „გერმანე-
ლები“ დაუძახეს ამ ჭინჭრებს.

— მერე, ორნი როგორ დაჯამარცხებთ?

— ამ საათში მობილიზაციას *) მოყვანდენ!— წამოიძახა დამბრუნებულ ტრამ და გაქქანდა მესობლებისაკენ.

სუთი წამის შემდეგ შეიკრიფა ჯარი. იქ იუვენე წიკლა, თხინა, წრინა და სხვა მრავალი. ეველა შეიარაღებული მოვიდა; შეიარაღებულები იუვენე სასრეებით, კომბლებით, შურდულებითა და სხარტებით.

სუეველანი ერთად შეჯგუფდნენ და ჰირველად მსჯელობა გამართეს, თუ ვინ ამოეჩინათ მთავარსარდლად.

მთავარსარდლად დიმიტრა ამოირჩიეს.

ის-ის იყო მზემ უკანასკნელ საფეხურზე, მთის მწვერავლზე ჩამოდგა ფეხი ზღვაში ჩასასვლელად, რომ ბრძოლა უნდა დაწყებულიყო მიტროს ჯარსა და „გერმანელებს“ შორის, მაგრამ ამ დროს—

— დიმი... ტრი!— დაუძახა მოხუცმა მამამ.

დიმიტრიმ გააგონა.

— წამო, შეილო, დამდება, და კალოზე წადი, ინდოურები შესხი ქანდარაზე: დამე ტურამ არ დაჭამოს.

დიმიტრის ძალიან ეწეინა: როგორ? კაცი გერმანელებს ომს უცხადებ და „ინდოურები შესხი ქანდარაზე“,— ფიქრობდა გულში.

— ჭოო, წამოვალ, მამი!— გააგონა უკმაყოფილოდ დიმიტრიმ.

დიმიტრა რო მიუბრუნდა თავის ჯარს, კალოზე გაგზავნით დაღონებული, ზევიდან გადმოიძახა გოლამ:—

— შეილო, ვანი! წამო, თხები მოვიდნენ და ციკუნებმა არ დაწოვონ: ბოსელში შერეკე.

ამის გაგონება დიმიტრის გაესარდა, ცოტა გულზე მოეშვა, და უთხრა თავის ჯარს:—

*) ჯარის საომრად შეგროვება.

— ბიჭებო, ახლა დავიძალნეთ და დილაზე დავიწვით ბროძობა.



უველამ მკაცრად გადაჭყედა ჭინჭრების ტყესა და დაიძალნენ.

ლ ა მ ე.

მთვარემ კარგა დაიუნსშმა, და დიმიტრა რო ამოვიდა კალოდან, ისევ ბნელოდა. მამამ ჭკითხა დიმიტრის კალოს ამბები, და რო ივასშმეს, დიმიტრი გარედ გამოვიდა ფრონტის დასათვალიერებლად. ცოტა ზირმომტურეული მთვარე უკვე ამოსულიყო და კარგად იყო განათებული ქვეყნიერება. უველას ეძინა, ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა, რო დიმიტრი ფრთხილად მივიდა წაკუსული ღობესთან და თვალეზე მუჭები მიიღო, ვითომ დურბინდიაო: დაუწყო სვერვა „კერმანელების“ ჯარს. წვერ-გადახრილი ჭინჭრები კი უძრავად იდგნენ, და მათგან დაშსამული სუნი მოჭქონდა ოდნავ ნიაფს.

დიდხანს ზეერბ დიმიტრამ, ბოლოს გულზე სელინა კრა და სთქვა: დამაცადეთ—გათენდეს, მე თქვენ გიხვეწებთ, არსეინად რომ დგეხართ! მერე აქა-იქ ქვები დაინახა მთვარის შუქზე და ერთად მიაქუნა საარტილერიო ბრძოლისათვის.

მთელი ერთი საათი იდგა კიდევ და სულ იმასა ფიქრობდა, თუ საიდან უფრო ადვილად აიღებდა მტრის წინ ავლებულ შავ ღობეს—თხრილებს რომ ემხნა გულში.

ბოლოს წავიდა და ჩუმიდ ჩაწვა ლოკინში.

დ ი ლ ა.

დილით, მამლებმა რო შეორედ იუივლეს, ცოტა მოიღრუბლა, მაგრამ ცა ისევ უეცრად გადიწმინდა და დიდებულად გათენდა. დიმიტრა ჩაუცმელი გამოვიდა კარედ და ნახა, რომ დრო არის და საჩქაროდ ჩაიცვა ტანთ. ზირუბანელმა დაურბინა ამხანაგებს, და ვეგლა ფესზე დაჭხვდა. ალბად ისინიც ბევრსა ფიქრობდენ „გერმანელების“ დამარცხებაზე. სუვევლამ კალთა ქვით აივსო და მიიტანეს ღობის ცოტა მოშორებით, რომელიც კარგი საფარი იყო მათთვის. შემდეგ მოსიდეს ჯოსები; მარმანდელი შხე—მიჭვრიტეს ძირები ამოკლიჯეს და ღეროები, თოფის ლუღას რომა ჰტავს, ნაცრით გატენეს და სევიდან ქვაც დაადვეს—ვითომ ტევიაა... კიდევ გადაჭხვდა დიმიტრამ მტრის ჯარსა და სთქვა მუშტის დაქვეით:—

— დამაცათ ჭინჭრებო!.. ჰმ! ჭინჭრებო კი არა—გერმანელებო!—გაიწორა დიმიტრამ.

ვევლაფერი დამხადეს. ქვევიდან არტილერია იმოქმედებდა, სევიდან ქვეითი ჯარი, და გვერდიდან კიდევ ცხენოსანი. ცხენოსანი ჯარი მეტად საინტერესო იყო, თვითონ მთავარსარდალს დიმიტრასაც მოსწონდა: სულ შვინდის ჯახებზე ისხდენ.



ვევლაფერი რო გააშხადეს, დიმიტრამ ქვეითა ჯარე
ვანიას ჩაბარა, ცსენოსანი—თხიპანა, და თვითონ არტილერიის
ბატარეასთან დადგა, სადაც რამდენსამე ალაკას ექუნა კალ-
თით მოხიდული ქვა.

უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი . *)

— ბიჭებო, მოდით და ულტიმატუმი წარუდგინოთ გერ-
მანელებს!—დაიძახა ვანიამ. თხიპამაც კვერი დაუკრა და დი-
მიტრაც დასთანხმდა.

შეიკრიბა შტაბი **).

გაანინეს ქალაღდი, ფანქარი და დაიწვეს წერა.

— ჩვენ რომელი სასვლამწიფო ვიუოთ?—წამოიძახა თხიპამ.

— ინგლისი! სთქვა—ვანიამ.

— არა, რუსეთი!—იუარა თხიპამ.

— რუსეთი არა, რუსეთი ~~ჩინეთი~~! ინგლისი ვიუოთ,
ინგლისი!—სთქვა დიმიტრიმ:—ინგლისს უფრო დიდი წარბაზ-
ნები და გემები აქვს...

ვერ შეთანხმდნენ—ვის ეოფილიუვნენ, და ერთმა წამოიძახა:—

— ჩქარა დაწერეთ ულტიმატუმი, ბრძოლა მწუწრიანო.

დაიწვეს წერა ულტიმატუმისა:—

„ჩვენი—თხიპა-წრიპა-დიმიტრა-ვანიას მთავრობა მოითხოვს
24 წუთში გადაიუვანოთ თქვენი ჯარები გოლაანთ ვენახის
თავის კუნჭულიდან, რადგანაც იგი კანონიერად ჩვენ გვეუთუ-
ნის და გვჭირდება კიდევ სალაობისა და ჩილიკა-ჯოხის სათა-
მაშოდ. თუ ჩვენ მოთხოვნას არ დააკაუოფილებთ, ნება გვე-
ძლევა საომარი მოქმედება დავიწყოთ და ჩვენი მთავრობა
პასუხს აღარავის წინაშე აღარ აკებს“.

— ვისი ხელით გაუგზავნოთ?—წამოიძახა თხიპამ.

*) ვადაკრილი უკანასკნელი მოთხოვნა.

***) ჯარის გამგეობა.

— შენ წაიღე, — უთხრა დიმიტრამ.
თხიზა მოაჯდა ცხენსა და გაჰქუსლა.

საცა ძალაღი ჭინჭრები იყო, იქ მივიდა თხიზა, უღტი
მატუმი შორიდან გადაუგდო და უკანვე გამოჰქუსლა უვირილით:—

— უარი გვითხრა, ბიჭებო, მოთხოვნაზე, უარი! ომი გა-
მოუცხადოთ! ომი დაეიწყოთ!

ო მ ი.

ომი უკვე გამოაცხადეს, და უველამ თავისი ჰოსიცია*) დაიკავა.
ამსრობაში მსე კარგა წამოსულიყო.



უცბად ერთი ჰეჰელა დააფრინდა ძალაღ ჭინჭრებს. უვე-
ლა დედამიწაზე დაიკუსა და დიმიტრამ გააფრთხილა ჯარი:—
— აფროზლანი, ბიჭებო, აფროზლანი! დაიკუსეთ!

ჰეჰელა ისევ აფრინდა და არტილერისს თავსე გადაუბ-
რა. დიმიტრამ იქვე ღობეს ძეძვი გამოაძრო და ჰეჰელა ჩა-
მოაგდო ძირს.

*) გამიგრებული ადგილი.



— ეს—ერთი აეროპლანი! ჩამოვაგდე თუ არა!—სთქვა დომიტრამ.

მერე ვეკლაფერი მიწუნარდა ცოტა ხანს.

ვეკლა თავის ჰოსტსე*) დადგა.

ბოლოს დომიტრამ ანიშნა თავის ჯარს ბრძოლის დაწყება და ასტუდა საშინელი ქვილ-სივილი. სევიდან დაიძრა ქვეითა ჯარი, რომელიც მხე-მიჭვრიტეს ნაცრით გატენილ ღეროებს დაიქნევდა და აკორიანტელებდა იქაურობას. გვერდიდან წამოვიდა იერიშით თხიპას ცხენოსანი ჯარი გრძელი ჯოხებით. ამოქმედდა არტილერიაც: შურდულიდან წამობზრიალდა ქვა. ზოგი სელით, ზოგი შურდულით ისროდა ქვას და გაჭქონდა ჯოხებს ჩახა-ჩუსი. ნამდვილ ომსა ჰგავდა.

იერიში მიიტანეს. იერიშის დროს ვიღაც ჩავარდა ჭინჭრებში და დასუსსულმა ევირილი დაიწყო. მებრძოლნი უფრო წაქეზდნენ და უფრო მეტის ძალით შეუტყეს. ახლა ვიღაც სხვა ჩავარდა ჭინჭრებში და მანაც, დასუსსულმა, ევირილი მორთო. მერე ვიღაცას მოჭხვდა ქვა თავში, და აქკი ძალიან შეჭვივრა დაშავებულმა.

ჯარს ჯერ ხუშრობა ეგონა, მაგრამ მეოთხესაც რო მართუეს თავში ჯონი და მაკრა შეაუვირეს, მაშინ გაიგეს, რომ საქმე სხვანაირად იყო, და უცბად შეახერეს ომი. ამ დროს მათ ევირილზე გამოცვივდნენ კიდევ მათი მშობლები და ჯარი უცბად მიიძალა სასლებში. დაჭრილები ამოიდეს ჭინჭრებიდან და სახლში წაიუვანეს.

მიწუნარდა ვეკლაფერი.

მშობლებმა გაიგეს საქმე როგორც იყო და გაიცინეს.



— მოდი წავიდეთ და ვნახოთ, ბიჭო, ომში დაჭრილი ამკანაკები,—უთხრა ერთმა მეორეს.

*) მანხილი ადგილი.

— მეც კი შინდა მათი ნახვა, მაგრამ მათი მშობლები როგორ გაგვიჯავრდნენ?

რამდენიმე ამხანაგი ერთად წაყვიდა და ღობის მოფარებით დაიწუეს იმათკენ უურება, იქნება ვინმე ვნახოთ ისეთი, რომ კვითხრას, როგორ არიან დაჭრილებიო.

ო მ ი ს უ ა ლ ა ზ ი .


შესამე დღეს უველანი, დაჭრილებიც და კადარჩენილებიც, ერთად შეკრიბილყვნენ უოფილ ჰოზიციებზე და იდგა ერთი სიცილ-ხარხარი: ზოგს თავი ჰქონდა შესვეული, ზოგს—უური, და ზოგსაც—ხელი.

სოლო დიმიტრა და ვანია ერთმანეთს უჩვენებდნენ მიღეწ-მოღეწილ ჭინჭრებს:—

— დავამარცხეთ გერმანელებიო!



ი. მკედლიშვილი.



გამოსვლა მეორე.

იგოე და ნინო.

ნინო. აი მოვიტანე რვეული, და როცა მასწავლებელი მოვა, რვეული მიაწოდე.

ქეთო. (სიხარული ემჩნევა სახეზე, ამ დროს შემოდის მასწავლებელი).

გამოსვლა მესამე.

იგინიე და მასწავლებელი.

მასწავლ. აბა მიჩვენეთ ნათარგმნი.

ქეთო. (რვეულს გადასცემს).

მასწავლ. ძალიან კარგი, ასლაგე გადავთვალთვალავ. განცვიფრებული შეხედავს ქეთოს). ამ რვეულის მეტი თან სხვა რვეული არა გქონიათ?

ქეთო. არა.

მასწავლ. მამ შეუძლებელია, რომ ავრეოდათ?

ქეთო. შეუძლებელია.

მასწავლ. არ შეგიძლიათ მითხრათ,—რა ალაგიდან დაიწვეთ თარგმანი?

ქეთო. (შეიშმუნება).

ნინო. (წასჩურჩულებს) Пѣтушокъ проиѣлъ давно.

ქეთო. (გაიშეორებს) Пѣтушокъ проиѣлъ давно.

მასწავლ. მე გვეითხებით, რა ალაგიდან დაიწვეთ თარგმანი მეტი?

ნინო. (წიგნი უჩვენებს).

მასწავლ. დარწმუნებული ხართ?

ქეთო. (გაუბედავად) დარწმუნებული გასლავართ.

მასწავლ. მამ, გაისახეთ და გადავთვალთვალავთ თქვენი ნათარგმნი. (ქეთოს გადასცემს რვეულს).

ქეთო. (დარცხვენით რვეულში იყურება).

მასწავლ. წაიკითხეთ, წაიკითხეთ სძა-ძაღლა!

ქეთო. (ლულულუღებს).

მასწავლ. თავიდან დაიწყეთ, სძა-ძაღლა წაიკითხეთ.

ქეთო. (კითხულობს) ხუთი გირვანქა სორცი, სამი გირვანქა ვრბო, ხუთი გირვანქა ბრინჯი, ორი გირვანქა ვეველი, სამი კაჭვიკის, მწვანილი, ერთი შაურის ბოლოკი, სამი გირვანქა ნავთი... მე არ ვიცი—ეს რას ნიშნავს.

ნინო. (თავჩაღუნული კუთხეში აიტუნება).

მასწავლ. ამისხენით—ეს რას ნიშნავს?

ქეთო. (გაჩუმებული დგას).

დედაკაცი. (გარედან) გამიშვით, გამიშვით!

მეკარე. (გარედ) არ შეიძლება, არ შეიძლება! ვერ გაიკეთ?

დედაკაცი. (გარედ) გამიშვით ქეთი! გეუბნებით—ცოტაოდენი საჭმე მაქვს.

მეკარე. (გარედ) ეს რა ბრახინი უოფილა. დედაკაცო, თავს კი არ გაგატყენებ, და აი კარები: მიბრძანდით!

გამოსვლა მეოთხე.

ივინავე და დედაკაცი.

დედაკაცი. (სცენაზე შემოდის დედაკაცი, ხელში ლურჯი რვეული უჭირავს) ნინო, აი ის რვეული, შენ რომ ეძებდი; სიჩქარისაგან ეს შინ დაგიტოვებიათ და შეცდომით დედი თქვენის საანგარიშო რვეული წამოგიღიათ.

მასწავლ. აჰა, ახლა-კი მესმის, ახლა-კი ეველაფერი გამოიკვება.

ქეთო. ძაძატიეთ, მასწავლებელო.

ნინო. ძაძატიეთ.

მასწავლ. (სიცილით) არა, ძალიანაცა რო მოვისურვო, თქვენი დასჯა უოვლად შეუძლებელია.

ფარდა.

ამოცხე ამოცხელება.

სცენა წარმოადგენს ოთახს. შუაზე სდგას მაგიდა; კარშემო სკამებია. ფარდა რომ ახდება, მაგიდასთან სკამზე ზის ქეთო და რვეულში სწერს. წინ წიგნია უძველესი.

გამოსვლა პირველი.

ქეთო. (ხმა მაღლა) ამ გვერდს მოკრწნი, მეორეზე დავეწერ (წიგნში კითხულობს) ПИТУШОКЪ (სწერს. შემოკრწნის ოთახში ნინო).

გამოსვლა მეორე.

გვეუ და ნინო.

ნინო. - გაძარჯობა, ქეთინო. რას აკეთებ? სწერ? დახეებ თავი წერას: დმერთი გიშველის, წავიდეთ ჩვენს ბაღში! ქეთინო, იმდენი უვაგილებია იქ, იმდენი რომ... წამო გენაცვალე, უვაგილების კონები შევეკრათ. რა კარგია იცი?

ქეთო. (აღგება) მამ კარგი, ამ რვეულს შევინახავ, და წავიდეთ.
ნინო. შეინახავ კი არა, იეოს აქ მაგიდაზე. აბა რა დასწერე? (კითხულობს) ПИТУШОКЪ... კარგი, კარგი, გუჯოფა; სსვა რომ არა იეოს რა—დაიდლები, გენაცვალე.

ქეთო. (რვეულს მაგიდაზე სტოვებს) აბა, წავიდეთ! (ხელი-ხელს მოკიდებულნი ორივენი გარბიან).

დედაკაცი. (სცენის გარედ) ქაღალბატონო, დრო არის სანოვაგისთვის გიანსლოთ.

ქაღალბატონი. (შორიდან) რაო?

დედაკაცი. დროა სავაჭროდ გიანსლოთ.

ქაღალბატ. ჰო, ჰო, მანდ ოთახში მაგიდაზე რვეული ძვეს; იმაში სწერია, რასაც ივაჭრებ.

დედაკაცი. (შედის სცენაზე, მაგიდიდან რვეულს იღებს და ზანტად გადის, მარჯვენა მკლავზე კალათა-ჩამოკიდებული. გარედ) ქაღალბატონო, მივდივარ.

ქალბაყ. კარგი, კარგი. აბა შენ იცი!

(სინუშე. სცენაზე შემობრზიან ქეთო და ნინო, ყვავილებით ხელში, თავზე და გულზედაც ყვავილები იქეთ გაკეთებული).

გამოსვლა მესამე.

ქეთო და ნინო.

ქეთო. რა მშვენიერი სუნი ასდის. (სუნავს).

ნინო. (სუნავს) მშვენიერია. არ გითხარი, ჩემო გვრიტო, ყვავილების კონას შეგვკრავთ მეთქი? აბა, დაჯექ სკამზე! ყვავილებით უნდა მოვკრთო (სკამზე დასვაძს და ყვავილებითრთავს) რა კარგი ხარ (პოცნის) თითქოს მთელი ყვავილების ბაღი შენს თავზე გაშართულიყოს.

ქეთო. ეს ყველაფერი მოსაწონია, მაგრამ იცი რა მომაგონდა?

ნინო. აბა რა, მითხარი!

ქეთო. ისა, რომ გაკვეთილი არ დამითავებია.

ნინო. არც მე მისწავლია. ახლა-კი მშვიდობით სვალამდის, თორემ მასწავლებელი სვალ მე დამტოვებს უსაღილოდ. მშვიდობით, მშვიდობით. (გადის).

ქეთო. (ყვავილებს მაგიდაზე დააწყობს; სკამზე ჩამოჯდება) ახლა კი საქმეს შეუდგები. (რვეულს ეძებს) რა იქნა რვეული! (აფორიაქებს იქაურობას. ვერა პპოულობს) დედი, დედი!

ქალბაგონი. (გარედან) აქა ვარ, შვილო; რა გინდა!

ქეთო. აქ მაგიდაზე რვეული იდო, და რა იქნა?

ქალბაგ. (გარედან) მონახე, შვილო: მანდ იქნება.

ქეთო. (ბუზღუნით) ოჰ, დამართო ჩემო, ვეძებ და ვერა ვპოულობ.

გამოსვლა მეოთხე.

ივინივე და ქალბატონი.

ქალბაგ. (შემოდის სცენაზე) რას მეძახდი, შვილო!

ქეთო. აი აქ რვეული იდო და რა იქნა; აქ აღარ დევს.

ქალბაყ. რა ვიცი, შეიღო! აი, მოვნასოთ: იქნებ აქ არის...
 (ორივენი ეძებენ).
 მოსამსახ. (გარედან შამალს აკვილებს) შე ვერნახე, რა გიქი მამაღლია.
 ქალბაყ. ეს რა ამბავია?!

გამოსვლა მეზუთე.

ივინავე და მოსამსახურე.

მოსამსახ. (შემოდის სცენაზე) ოჰ, ქალბატონო, როგორ დავიღალე. მაგრამ ასეთი მამალი კი ვიუიდე რომ...
 ქალბაყ. (გაკვირებული) რას ამბობ, ქალო, მამალი ვინ და გავაღბა— იუიდეო.
 მოსამსახ. (კალათიდან რვეულს იღებს) აი, ქალბატონო, აქა სწერია.
 ქეთო. (მოსამსახურეს ხელიდან რვეულსა სტაცებს) აი ჩემი რვეული.
 ქალბაყ. (მუზღებზე ხელს დაირტყამს) უი, მომიკვდეს თავი, ეს რა დაუდევრობაა, ქა?

გრიგოლ კოლეღიშვილი.

ფარდა.





კუდა-კუდა არაკმები.

რიგ-რიგობით, ბატონებო: ყველა ერთად არ იქნება!



რთ მეწვრილმანეს ჭუაჭუა მარტია; კოსტა, ლამაზი, სუძთლად გამონაურებული, რომელიც მოხდენილად და მოხერხებულად ჭბამაჟდა ადამიანებს ლაზარაკი და სიცვილშიც-კი...

მარტიას გალია იდგა ზედ დახლის თავში, სადაც მუშტრები იურიდნენ თავს, ბუსებოვით ირეოდნენ და ეაუნებდნენ...

მარტია გუღმოდგინედ ადევნებდა თავალაურს ვაჭრობას, ისმენდა, რასაც ამბობდნენ, თვითონაც ჭბამაჟდა და იმეორებდა, განსაკუთრებით-კი იმას, რასაც მისი ჰატრონი იტეოდა სოღმე...

ზოგჯერ აუარებული მუშტარი ერთბაშად მიაწუდებოდა მეწვრილმანეს დახლს; ეველა ცდილობდა სხვაზე უწინ დაკმაყოფილებულიყო და მიეღო, რაც ჭსურდა.

— აბა, ჩქარა!— გაიძახოდა ეველა.

მედუქნე კმაყოფილი დიმილით უცქეროდა მოუუსუსე ხალხს და თავაზიანად იმეორებდა ერთსა-და-იმავე სიტყვებს:—

„რიგ-რიგობით, ბატონებო, ეველა ერთად არ იქნება!“ მარტიამ მალე გაიხეზირა ეს სიტყვები და როცა ხალ-

სი დახლთან თავს მოიურიდა და ასტუეგებოდა უწესრიგო ღრიანცელი, ისიც, თითქოს ჰატრონის საშუელად, მოჭუვებოდა მხილს:—

„რიგ-რიგობით, ბატონებო: ეველა ერთად არ იქნება!..“

ბევრი წესიერების დაპრდვევი აუწითლებია მის სწორედ შესაფერ დროს ნათქვამ მენიშვნას, თავი შეუკავებინებია და ნაბიჯი უკან გადაუდგმევინებია...

ერთ დღეს დილით მარტია სადღაც გაჭქრა. კალია დაკპტილი არ ჰქონდა; ფანჯარაც ღია დარჩენოდათ, და იმხნაც მოისურვა თავისუფლად გასეირნება...

დიდხანს ეძება მედუქნემ მარტია სახლშიც, კარშიც, მაგრამ მის კვალსაც კი ვერსად მიაგნო.

უცებ მოირბინა მეზობლის ბავშვმა და უთხრა მედუქნეს:—

— ბიძიავ, ბიძიავ, უშველე ჩქარა!—მენს მარტიას დახვევიან მინდორზე ევავები და უწუალოდ სწეწენ და ჰტლეჯენ!..

საჩქაროდ გაექანა მედუქნე მინდვრისაკენ, და რას ჰსედავს: მართლაც, შემოჭხვევიან მის საუვარელ მარტიას აუბრებელი ევავები, სცემენ და ჰქოზრიან, უწუალოდ უჩაქუნებენ თავში ნისკარტს.

საბრალო მარტია ძლივს იკერებს მათ, აუბრთხუნებს ფრთებს, ანატრუნებს ნისკარტს და რაც ძალი-და-ღონე აქვს გაჭკივის:—

„რიგ-რიგობით, ბატონებო: ეველა ერთად არ იქნება!..“

ძლიერ შეეცოდა მედუქნეს ასეთ განსაცდელში მეოფი მარტია, მაგრამ დიმილი-კი მანც ვერ შეიკავა. ფიცსლავ მიჭუბრდა, დაფრთხო ევავების გუნდი და დაისხნა თავისი საუვარელი მარტია...

ილ. გოგია.





პიპო-განღეგილი

პატარა ვიგა ძალიან კარგ გუნებასეა: დღეს მისი დაბადების დღეა და ჰანამ აჩუქა სურათებიანი დიდი წიგნი, რომლიდანაც მრავალი ზღვის ძირში მცხოვრები საკვირველი ცხოველები გამოიურებიან. მლიერ უეგარს ბუნება, უეგარს გამოკითხვა, — გაგება ეოველი მისთვის უცნობი მოვლენისა, უეგარს ცხოველების და მცენარეების ამბავი.

თუცა ბავშვს ზღვა არასოდეს არ ენახა, მაგრამ ძალიან უეგარდა კი. ზღვა რაღაც აუწერელ, დიდ წელის სიერცედ ესატებოდა შორს, შორს, სადღაც ცის დასავალზე. ძირი ზღვისა ავსებული იყო მრავალი უსარმაზარი მცენარე-ცხოველებით.

კეთილ ჰანას მლიერ უეგარდა თავისი შვიდი წლის შვილიშვილი, უვლიდა, ეოველნაირ შვეითებაზე ჰასუსს აძლევდა ცნობის-მოეგარე ბავშვს; სძირად დაისვაძდა სოლმე მუსლებზე და დაუწეებდა საუბარს საინტერესო საგნებზე. დღესაც, მის დაბადების დღეს, აჩუქა მშვენიერი ნახატებიანი წიგნი და სისარულით შესცქეროდა ბავშვის აღტაცებას.

ვიგას სისარული მართლაც უსაზღვრო იყო, მოეგვია ჰანას, ჩაუკოცნა დაშქნარი ლოყები, შეასტა მუსლებზე და დაუწეო წიგნს თვალიერება; თან სთხოვდა ჰანას აესნა, გაეცნო მისთვის წიგნში დახატული რაღაც უცნაური ცხოველები.

— ჰანა, ჩემო საუფარელო ჰანა, — ჭიკჭიკობდა ბავშვი, — ცნა ზღვაშია ცსოვრობენ კიბოები?

— როგორ არა, ჩემო ბიჭუნა, ცსოვრობენ, და შერე როგორი კიბოები: ზოგი ისეთია, რომ შეუძლია შენ სიდიდე ბავშვი შეჭამოს; ზოგი გრძელ-კუდიანია, ზოგი — სულ მრგვალი, უკუდო; ზოგი წააგავს ჩვენ მდინარის კიბოს, მაგრამ იმაზე უფრო დიდია, ზოგი მოგატონებს ობობას. აი, დახედე, რა სსვა-და-სსვა კიბოებია ზღვაში!

— ეს რა არის, ჰანა, განა ესეც კიბოა?

— კი, ძვილო, ესეც კიბოა, მაგრამ ეველასე შესანიშნავი კიბოა.

— შესედე, ჰანა, როგორ ჩამჯდარა ეს კიბო ნიქარაში! რისთვის ზის ნეტავ იქ?

— აი ახლავე გაიშობ ამ უცნაურ კიბოს ამბავს, ჩემო გიგლიკო. შენ ხომ გახსოვს, ბიჭუნავ, რომ კიბო, რომელიც თაც სშირად ზირს ჩაიტკებარუნებ სოლმე, მაგარ ჯავშანშია გასვეული. მისი წყალობით კიბო უვნებლად დადის მდინარის ძირსე, ესება ქვებს, ეკლებს, ისე, რომ არაფერი ეტკინება. ამ ახირებულ კიბოს კი ასეთი ქურქი არა აქვს: მისი ტანი ძლიერ რბილია: რამე მაგარ სსეულს რომ შეეცება, ტკივილს გრძნობს. ამიტომ ამ კიბომ იფიქრა, იფიქრა, და ერთი ხერხი მოიგონა. წააწედა ზღვის ძირში ისეთ ცსოველებს, რომლებიც ნიქარებში ცსოვრობენ, ატარებენ ამ უცნაურ სსხლებს და შიგ მტრისაგან თავს იფარავენ. კიბო მივიდა ერთ ამისთანა ცსოველთან, შეჭამა იგი, მის სსხლში მოათავსა თავისი რბილი სსეული, შიგ მოიკალათა. აი ამ სსხლით დაცოცავს კიბო დღემდე ზღვის ძირში.

— ეს რა ევაგილი ამოსულა კიბოს სსხლსე, ჰანა, — ჭკითხსა გიგამ.

— ეს ძალიან საინტერესო რამ არის, გიგა, — მიუგო ჰანამ: — ეს ევაგილი არ არის, თუძც ძლიერ ჭკავს ევაგილს.

ზღვაში ბევრი ისეთი ცხოველებია, რომ ძნელად თუ გაარჩევ მცენარეებში. სწორეთ ასეთ ცხოველებს ეკუთვნის ეს უცნაური არსება. იგი კიბოს ზურგზე ცხოვრობს და ჩინებულად გრძობს თავს. სწავლულები ამ ცხოველს აკტინიას უძახიან.



— როგორ განზღაპრობია კიბოზე, ჰანა? — ჰკითხა გიგამ.

— აი, სწორედ ეს არის საკვირველი, ჩემო გიგუცა. ეს კიბო მეტად სუსტი ცხოველია და ბევრი მტერი ჰქვავს; მაგრამ შე უკვე ვითხარი, რა მოსერხებული რამ

არის ეს კუცრაჭა. „მე, სუსტს, ეველა ძლიერი დამზავსო“, — იფიქრა მან და შემდეგ ხერხს მიჰმართა. მოძებნა ზღვის ძირში ქვასე უძრავად მჯდომი აკტინია, ზიუვანა თავის მავრატლის მკნახვსი ფეხებით ქვიდან და თავის სახლის სასურავზე დასვა. ამწიარად უღონო კიბომ დარავი ვაიჩინა.

— როგორ იცავს აკტინია კიბოს: მას არც კბილები, არც ფეხები აქვს? — ჰკითხა გიგამ.

— მართლაც ამბობ: არც ფეხები, არც კბილები აკტინიას არ აბადია, მაგრამ სხვანაირი იარაღი აქვს მტერის მოსაკვრებლად. დახედე ამ სპირ ბეწვს, გარშემო რომ ასხია აკტინია: ის საწირობა მისთვის. ამ ბეწვს ჭინჭრის თვისება აქვს: თუ რამეს მიეკარა, ჭინჭარივით დასუსხავს: ამგვარად აკტინია იფარავს კიბოს მტრისაგან. რადგან ეს კიბო მარტო ცხოვრობს, არ უყვარს მესობლები, მას განდევილი დაარქვას. კახსოვდეს, გიგა, ეს კიბოა, კიბო — განდევილი.

— მიკვირს, ზანა, რატომ აკტინია არაფერს ავნებს კიბოს და აძლევს ნებას ატაროს, სადაც კიბო შიისურვებს?

— აკტინია კარგად გრძობს, ჩემო კარგო, რომ კიბო მისი შტერი არ არის; მისთვის სასარგებლოცაა კიბოზე ჯდომა და მასთან ერთად ზღვის ძირში არსებულად ეოფნა. აკტინია სომ მუდამ ერთ ადგილას ზის: მეტად ზარმაცი ვაჟბატონია, მას არ უუვარს საჭმლის შენა. აბა ერთ ადგილზე რომ იჯდე, განა საჭმელი თავისთავად მოგივა? ამიტომ, ჩემო კიბა, კიბოს ზურგზე მუდამ დაბრმანებული აკტინია ახლა კარვ ზირობებშია. ის კიბოს წულაობით ზღვის სივრცეში დასეირნობს და საჭმელიც ბლომადა აქვს. აი სწორედ ამიტომ აკტინია არა თუ არაფერს ავნებს, არ სუსსავს კიბოს, ზირიქით დიდი მადლობელიც არის მისი და კიდევაც სდარაჯობს ასე გულმოდგინედ.

როცა კიბო გაიზრდება და აღარ ეტყება ნიჟარაში, ის ახალ, უფრო მოხდელ სახლს ეძებს, შებრძანდება შიკ და თავის დარაჯ ამხანაგსაც გადააბრძანებს იქა.

ასე ცხოვრობენ ერთი მეორის დახმარებით ეს ორი, სულ სხვა-და-სხვა კვარი ცხოველები. ამისთანა ცხოველებს ბევრს შესვლები, ჩემო კიბა. მხელია, მეტად მხელია მარტობა ამ წუთისოფელში.

იტა.





გასართობი


ანანაზი ამოსატყობი (წარმოდგენილია ომერ კახიძის მიერ).


იარალი	მდინარე	გარეული ფრინველი	ნადირნი	ზინაური ცხოველი	ყვავილი
ნამგალი	რიონი	ბუ შეაბრდენი	ლომი	ზაქი ვირი	ია
ორთითი	ალაზანი	ოფოფი	თავვი	კატა	იასამანი
	იორი.	არწივი	არჩვი	ლეკვი	

უკვლავ ქვევით მოუგახილი სახელების ჰირველი ასო აი-
ღეთ და ისე შეართეთ, რომ ქართველი ჰოეტის სახელი გა-
მოვიდეს.

რეზუსი

(წარმოდგენილია ომერ კახიძის მიერ).

თევზის სახელი 2 " ნაცვალი სახელი 3 " 

ნაცვალი სახელი " 

მე-4 №-ში მოთავესებულ რეზუსის ასხნა:
შაქარი ტკბილია, შოენა ძნელია.



მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.

დასურათებული სახმავილო შუკნალი

წელიწადი **„ნაკადული“** წელიწადი
მეთოთხმეტე. მეთოთხმეტე.

შუკნალი გამოვა ჩვეულმდგომარეობაში პროგრამით
საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
მცირე-წლოვანთა და მოზარდილთათვის.

თუ გარემოება ხელი არ შეუშალა რედაქციას, ეცდება მცირე-წლოვანთათვის წინანდელივით **ორი წიგნი** გამოსცეს თვეში და მოზარდილთათვის—**ერთი წიგნი**; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, და ერთი წიგნი—მოზარდილთათვის.

ფასი ქურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**12 მან.** ნახევარი წლით—**7 მან.** ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—**7 მან.** მოზარდილთათვის—**7 მან.** ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. შთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილენ მგვრელიძისთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძისთან, ფოსტაში, ღ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის გაბეგობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში**—მეთოდე კაკაბაძისთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ღ. ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ხონში**—მ. ი. კავჭანიძისთან. **მინაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძისთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძისთან, **ლანჩხუთში**—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი **მ. პავლე იოსების-ძე** თუმანიშვილი.